# ცნობის ფურცელი

IV წ. ყოველ დღიური გამოცემა კვირა-უქმეების შემდეგაც.— ხუთშაბათი, 9 დეკემბერი 1899 წ. №

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მანეთი, თვეში—75 კაპიკი, ცალკე ნომერი 3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ.
ხელისმოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის„ და „ცნობის ფურცლის რედაქციაში (ვანქის ქუჩა, № 27) წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიაში და ქართველთა წიგ. გამომც. ამხ. კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

რედაქცია იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, სახლი, № 27, მარტიროზოვისა.— ლი წერილები არ დაიბეჭდება.— დასაბეჭდი ნაწერები რედაქციის სახელობაზე გზავნოს
პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უ 11 საათიდან 1 საათამდე (შუა დღით).
ტელეფონი № 372.—ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „Цнобисъ Г

საუკეთესოდ მოწყობილი

სტამბა

წიგნების გამომც. ქართველთა ამხ—ბისა

იღებს ყოველგვარ

სასტამბო საქმეებს

სტამბა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე მარტიროსოვის სახლში

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 9 დეკემბერს,

ქართულის დრამატიულის საზოგადოების არტისტებისაგან

პირველად ამ სეზონში

ვლად. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება

ჰ ა მ ლ ე ტ ი

ტრაგედია 5 მოქ. ვ. შექსპირისა. თარგ. თავ. ივ. მაჩაბლის მიერ.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზე

ნ. (5—5) რეჟისორნი აბაშიძე და ქ. მესხი

ექიმი

ყ. ჩიქოვანი

გადავიდა ნიკოლოზის ქუჩაზე, № 21.

ტელეფონი № 629. წ.

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი, მის იმპერატორებითი უდიდებულესობის სასახლის კამერგერი თავ. ს. გ. წერეთელი ამით აუწყებს ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთ, ... მომავალ 1900 წლის 3 მა... -IX ტ. კან. კრებისა 1876 ...მოცემის მე-81 და 82 ... თანახმად, ქუთაისში ...დანიშნულია ... გუბერნიის თავად- ... მორიგი კრება.

ნ. 1—1

სამკურნალო და ამბულატორია

ს. ვ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვებისა, საქირურგიო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ვ. თოფურია. საქირურგიო და თვალის ავადმყოფობას და სიფილისს—ფ. ა. გერრატი.

დედათა ავადმყოფობას—მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.

ამბულატორიასთან არის კაბინეტი, საქიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვის და მასაჟისათვის.

სამკურნალოს დირექტორი

ს. ვ. თოფურია

Лѣчебница С. В. Топурія, въ Кутаисѣ.

ნაფიცი ვექილი

გიორგი გვაზავა

გადმოვიდა სასახლის ქუჩაზე, სარაჯიშვილის სახლებში. წ.

## მართებლობის განკარგულებანი

დანიშნულ იქმნა მისის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის სერგეი მიხეილის ძის ბაქოს მე-153 ქვეითა რაზმის უფროსად მისის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოოზის ძის კავკასიის 1-ლ მსროლელ ბატალიონის პოლკოვნიკი საგინაშვილი.

ებობა კოლეჟსკი რეგისტრატორობა გორის მაზრის პოლიციის სამმართველოს შტატ-გარეშე მოხელის თანამდებობის აღმასრულებელს კანდელაკს; ვერცხლის მედლები წარწერით „გულ-მოდგინეობისათვის“ სოხუმის ოლქის სამურზაყანოს ნაწილის თარჯიმანს ბულისკერიას, ზაქათალის ოლქის სასამართლოს დეპუტატს შიო ხუციაშვილს, ბათუმის მილიციის ურიადნიკს ივანე ჯაიანს, სოხუმის საერო დარაჯთა ურიადნიკს კონსტანტ. ჩხოლარიას და დარაჯს ზაურბეგ ანჩაბაძეს, ზაქათალის საერო დარაჯთა ურიადნიკს იაგორ ფახჩათაშვილს; ოქროს მედალი ბათუმის მილიციის ურიადნიკს ლუკა ანდღულაძეს.

გადაყვანილ იქმნენ: 237 კრემლევის სარეზერვო ბატალიონის პოდპორუჩიკი ხეთაგური—კავკასიის კადროვის ბატალიონში; ასლანდუზის სარეზერვო ბატალიონის კაპიტანი ქლენტი—ბაშლანდიკლარის სარეზერვო ბატალიონში.

დაინიშნენ: ექიმი თეთრაძე მე-83 სამურის მის იმპერატორებითი უმაღლესობის დიდი მთავრის ვლადიმირ ალექსანდრის ძის ქვეითი პოლკის ექიმად; კორნეტი გიორგი იოსელიანი ყარაიაზის პრისტავის თანამდებობის აღმასრულებლად.

—

## ახალი ამბავი

—

✦ „პრავიტ. ვესტნიკი“ იუწყება, რომ 1-ლ დეკემბერს ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და ინახულა გატჩინოს სასახლეში მე-155 ყუბის ქვეითი პოლკის უფროსი თავ. მიქელაძე.

✦ საგუბერნიო კრება ქუთაისის თავად-აზნაურთა დანიშნულია 1900 წლის 3 მაისს.

✦ ჩვენ შევიტყვეთ, რომ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას განუზრახავს ახლო მომავალში აღძრას შუამდგომლობა სამიწადმოქმედო სამინისტროს წინაშე იმის შესახებ, რომ ყველა პირველ დაწყებით სასწავლებლებში შემოღებულ იქმნას ამიერიდან მეაბრეშუმეობის სწავლება. ამგვარივე შუამდგომლობა უკვე წარუდგინა სამინისტროს სამხრეთ-რუსეთის რამდენიმე სამეურნეო საზოგადოებისაგან.

✦ ჩვენი გაზეთის გუშინდელს ნომერში დასტამბული იყო ცნობა, რომ ტფილისის საკომერციო სასწავლებელი გაიხსნება 1 იანვრიდანო. ეხლა გვატყობინებენ, რომ შესაძლებელია სასწავლებლის გახსნა დაგვიანდესო, რადგან სასწავლებლის დირექტორად არჩეული ოდესის საკომერციო კურსების გამგე ბ. ფიშერი, ჯერ არ დაუმტკიცებია ფინანსთა სამინისტროსაო.

✦ ჩვენ გვატყობინებენ, რომ სოხუმის მოვაჭრეებს განუზრახავთ დაარსონ სოხუმში „საურთიერთო საკრედიტო ბანკი“. საწინასწარო კრებაზე ას კაცზე მეტმა განაცხადა მომავალ ბანკის წევრად ჩაწერის სურვილი. უკვე ამოარჩიეს რამდენიმე კაცი, რომელთაც მიანდვეს წესდების შედგენა და სათანადო მთავრობასთან წარდგენა მისი დასამტკიცებლად.

✦ ტფილისის ქალაქის მოურავმა მიიღო პასუხი ტფილისის ტრამვაის უსახელო საზოგადოების დირექტორის ბ-ნ რობისაგან, რომ საზოგადოება თანახმაა მიიღოს ახალი პირობანი შესახებ ელექტრონით ვაგონების ტარებისა და ახა-

… გაკეთებისა, თა-… ლილებათა, რომ-… ემბერს იქმნა დად-… ის მიერ.

… ათს, 7 დეკემბერს, … ფილისის საბჭოს მო-… რადგან არ გამო … ანიერი რიცხვი ხმო-… გადიდვა დღეისთვის.

… ეს, 9 დეკემბერს, ტფი-… ოლქის სასამართლოში და-სიშნულია გარჩევა ბ. ნასირბეგოვისა და ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის საქმისა.

✦ ტფილისის თავად-აზნაურთა ბანკის გამგეობას წერილით მიუმართავს სხვა და სხვა დაწესებულებათათვის, რომ დირექტორი ამ ბანკისა პავლე როსტომის ძე ყიფიანი აღარ ითვლება დირექტორად და მის მიერ ხელის მოწერას მნიშვნელობა არა აქვს, ხოლო მის მოადგილედ მოწვეულია კანდიდატი ღენერალი კონსტანტინე ქილაშვილი.

✦ ამ ჟამად ტფილისის სააბრეშუმო სადგურისათვის წარუდგენიათ შესამოწმებლად სულ 50 ათასი ყუთი აბრეშუმის გრენა (300 ათასი მისხალი) სხვა და სხვა ჯიშისა და ფირმის. რამდენიმე ნაწილი ამ გრენისა სადგურს უკვე განუხილავს.

✦ ბაღოსნობის საზოგადოების კავკასიის განყოფილებამ, როგორც ჩვენ შევიტყვეთ, განიზრახა ჰმართოს ტფილისში საუბრები ხილის და ბოსტნეულობის რაციონალურ გახმობის შესახებ. პირველი საუბარი დემონსტრაციებით იქმნება შაბათს საღამოს, 11 დეკემბერს, განყოფილების სადგომში, გოლოვინის პროსპ., № 45.

✦ მეაბრეშუმეთა კრება გეოქჩაიში, მაზრის უფროსის თავმჯდომარეობით, როგორც ჩვენ გადმოგვცეს, დანიშნულია 23 დეკემბერს. კრებაში მონაწილეობას მიიღებენ მთავრობის მიერ გაგზავნილი სპეციალისტები.

✦ როგორც გვატყობინებენ, ბაღოსნობის საზოგადოების კავკასიის განყოფილება მომავალ 1900 წელს გამართავს კახეთში და ქუთაისის გუბერნიაში ვენახის წამლობას გამოფენა-კონკურსს. წარსულ წელს ხსენებულ განყოფილებამ პირველად გამართა სიღნაღისა და თელავის მაზრებში ამგვარი გამოფენა-კონკურსები და, როგორც ადგილობრივ ექსპერტთა კომისიების ანგარიშებიდან სჩანს, მათ დიდი ყურადღება დამსახურებიათ ჩვენებურ მემამულეთაგან. წინანდალსა და კარდანახში გამართულ კონკურსებში მონაწილეობას იღებდნენ უმთავრესად გლეხ-კაცები, რომელთაც მიუსაჯეს მედლები და საჩუქრად სხვა-და-სხვა იარაღი ვენახის წამლობისათვის.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობამ დაადგინა: აბესალამოვის სტიპენდია დაენიშნოს ტფილისის საქალებო მეორე გიმნაზიის მეორე კლასის მოსწავლეს ოლღა ზაკროევისას და იმავე კლასის მოსწავლეს დარია ტერ-აბრამოვისას.

✦ თავად-აზნაურთა მამულებზე ტბილისის გუბერნიის მაზრებში, „ტფილისის ფურცლის“ სიტყვით, გაიწერა შემდეგი გარდასახადი: ტფილისის მაზრაში—1688 მანეთი და 79 კ.; გორისაში—4740 მან. და 45 კაპ.; თელავის მაზრაში—1293 მან. და 66 კაპ.; სიღნაღისაში—1552 მან. და 29 კაპ.; დუშეთის მაზრაში—1574 მან. და 1 კაპ.; ბორჩალოსაში—4198 მან. 59 კაპ.; თიონეთის—684 მან. და 51 კაპ. და ახალციხისაში—100 მან. და 8 კაპ.

✦ მოვაგონებთ ჩვენს მკითხველებს, რომ 31 დეკემბერს შესრულდება ვადა, როდემდისაც შეიძლება შეცვლა ქაღალდის ფულისა—სამმანეთიანისა, ხუთ-მანეთიანისა და თუმნიანისა—1887 წლის ნიმუშისა. ამ ფულების შეცვლა შეიძლება სახელმწიფო ბანკში.

✦ დღეს, ქართულს თეატრში წარმოდგენილი იქნება შექსპირის ტრაგედია „ჰამლეტი“; მთავარ როლს შეასრულებს ჩვენი ნიჭიერი არტისტი გლ. ალექსი-მესხიშვილი.

✦ 16 დეკემბერს, ქართულს თეატრში დანიშნულია ელ. ჩერქეზიშვილის ბენეფისი. წარმოდგენილი იქნება ახალი პიესები.

✦ ჩვენ გვატყობინებენ, რომ ნ. გაბუნია-ცაგარლისა ავად გახდარა ფილტვების ანთებით, მაგრამ ეხლა უკეთ არის და იმედია მალე წამოდგება.

✦ პოლიციამ შეიპყრო ტფილისში, მიხეილის ქუჩაზე, ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე სამსახურში ნამყოფი კალანდარაშვილი, რომელიც 23 წლიწადი ყოფილა ტელეგრაფისტად სადგ. ჰალადიდში, აქედან გადაუყვანალა განჯაში და შემდეგ სამსახურიდან გამოურიცხავთ და რომელსაც ჰბრალდება, მონაწილეობის მიღება მატარებელთა მოძრაობის უფროსის იზმაილოვის სახლზე თავდასხმაში. კალანდარაშვილი უცვნია იზმაილოვს და აგრეთვე ბ-ნს კარამოსკოს, რომელიც დაედევნა ბოროტ-გამზრახველთ. კალანდარაშვილი მეტეხის ციხეში დაამწყვდიეს. („კავკასი“)

✦ როდესაც ტფილისის მემამულენი ჰყიდიან ნაწილს თავიანთ მამულისას, ქალაქისა და სახელმწიფო ხარჯს ხშირად ქალაქის გამგეობა იჰერდა მთელი მამულისასა, ან ანაწილებდა გაყიდული ნაწილის დაუფასებლად. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, რომ ამისთანა შემთხვევაში მემამულეს მოეთხოვოს ექვსი მანეთი გაყიდული ნაწილის დასაფასებლად ქალაქის დამფასებლების გასაგზავნად. ხოლო, ვინც არ შეიტანს ფულს—გადახდება მთელი დანარჩენი ხარჯი.

✦ ბავშვების მფარველ საზოგადოების გამგეობა აცხადებს, რომ მას დაუნიშნავს მზრუნველებად შემდეგი პირები: ქალაქის პირველ ნაწილში—დ. ა. რუსანოვი (სცხოვრობს კირპიჩნი ქუჩაზე, საკუთარ სახლში); მეორე ნაწილში—არჩ. ა. ბახუტაშვილი (იზმაილოვის ქუჩა, № 16); მესამე ნაწილში—ნ. ე. აბროსიმოვი (სახაზინო პალატა); მეოთხე ნაწნლში—ა. ა. ვლასოვი (სამოსამართლო პალატა); მეხუთე ნაწილში—თავ. ნ. ე. არღუთინსკი-დოლგორუკოვი (ველიამინოვის ქუჩა, № 26); მეცხრე ნაწილში—გ. ვ. დავიდოვი (მიხეილის ქუჩა, № 145); მეათე ნაწილში—ვ. ა. კოსსოვსკი (დიდი მთავრის ქუჩა, საკუთარი სახლი); ნავთლუღში—მ. კ. ბორისოვი (ფერშალთა სკოლა) და მეექვსე ნაწილში—ა. ს. ბაღდასაროვი (აფთიაქის ვიწრო ქუჩა, № 8). გამგეობა სთხოვს ყველას, ვინც კი აღმოაჩენს ბავშვების წვალებას, მათთან ცუდად მოპყრობას, შეატყობინოს მაშინვე ერთ-ერთს დასახელებულთაგანს.

✦ 7 დეკემბერს, დილის 5 საათზე და 25 წ. საქონლის მატარებელი № 241, ტფილისის სასაქონლო სადგურზე, დაეჯახა სათადარიგო ჯარის კაცს პროკოფი ლიონოვს, რომელიც ქვეშ მოჰყვა და დაშავდა. ლიონოვი რკინის გზის საავადმყოფოში წაიღეს.

---

# დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

## 7 დეკემბერი

**კიევი.** მხატვარის რაევსკის სადგომში პოლიციამ აღმოაჩინა საიდუმლო რელიგიური ყრილობა, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობდა 85 კაცი, მათ შორის ქალები და ბავშვები... როგორც ჰფიქრობენ, ესენი—შტუნდისტები არიან. ეს მესამედ აღმოაჩინეს რაევსკის სადგომში შტუნდისტების კრება.

**ჰელსინგფორსი.** დღეს, ხელმწიფე იმპერატორის სახელწოდების დღეს აქაურს საკრებულო ტაძარში გარდახდილ იქმნა სადღესასწაულო წირვა და პარაკლისი. ქალაქი შემკულია ბაირაღებით.

**ლონდონი.** „რეიტერის სააგენტო“. ინდოეთის ვიცე-კოროლი იუწყება, რომ ჰირნახულის მოსავალი ბევრგან, სადაც ეხლაც შიმშილობაა, მეტად ცუდია. სულ შემწეობა უნდა აღმოეჩინოს 2,226,000 კაცს.

**დუბლინი.** „რეიტერის სააგენ.“ „Grinity college“-ში მომხდარ კრების შემდეგ 150 ინგლისის მომხრე სტუდენტი გამოვიდა ქუჩაზე პატრიოტული ლექსების სიმღერით და ინგლისის ბაირაღით. პოლიციამ ბაირაღი წაართვა სტუდენტებს, რათა ამით აეცდინა შეტაკება სტუდენტებთა და ნაციონალისტებთა შორის. შემდეგ სტუდენტები თავს დაესხნენ ქალაქის საბჭოს, რომელზედაც ფრიალებდა მწვანე დროშა, და დახიეს იგი.

მიიღო რა ექიმის ხარისხი, ჩემბერლენმა წარმოსთქვა, რომ ინგლისმა ყირიმის ომში და ინდოელთა აჯანყების დროს შესანიშნავად გაიმარჯვეს; ორატორი დარწმუნებულია, რომ ინგლისი ეხლაც გამარჯვებას ჰნახავს.

**მელბურნი.** 29 დეკემბერს სამხრეთ აფრიკაში გაიგზავნება ავსტრალიელთა ახალი რაზმი 1,000 ცხენოსანთაგან შემდგარი.

**ლონდონი.** საღამოს გაზეთები იუწყებიან, რომ მრავალი ხალხი სურვილს აცხადებს ტრანსვაალში ომში წასვლისას.

**ქაირი.** კიჩენერი დღეს მიდის ომდურმანიდან და პარასკევს კაპში იქნება.

**პარიზი.** ლონდონიდან იუწყებიან, რომ ბირჟაზე ხმა დადის ვითომ ბურებს უკვე აუღიათ კიმბერლეი; ოფიციალური ცნობა ამის შესახებ ჯერ არ მოსულა.

**ოტტავა.** ინგლისის მთავრობამ მიიღო კანადის წინადადება ჯარების გამოგზავნის შესახებ. კანადის მთავრობამ ბრძანება მისცა სამხ… დრო სამინისტროს—ეხლავ… ზავნოს ტრანსვაალში ჯარ…

**ბრიუსელი.** ლონდონ… წყებიან, რომ კრიუგ… ახალშენის კაბინეტის … წინადადება მისცა ინ… ვრობას, — შევსწყვიტ… იმავე დეპეშით იუწყ… მთელი მხარე კვინს…

მდინარე ორანჟეს შუა აჯანყებულაო.

**ჰელსინგფორსი.** ოფიცერთა კლუბში შტაბის პოდპოლკოვნიკმა ზეიკმა წაიკითხა მოხსენება ფინლიანდიაში სამხედრო რეფორმის მოხდენის შესახებ.

**მოსკოვი.** 6 დეკემბერს აქაურ ეკკლესიებში გადახდილ იქმნა პარაკლისები ხელმწიფე იმპერატორის სადღეგრძელოდ.

**მოსკოვი** გრაფ ტოლსტოი უკეთ არის.

**ბერლინი.** ხემწიფე იმპერატორის სახელწოდების დღეს რუსეთის საელჩოს სადგომში გადახდილი იქნა პარაკლისი, რომელსაც დაესწრო რუსეთის ელჩი მეუღლითურთ, საელჩოს სხვა წევრები, გერმანელი აფიცრები და სხვები. პარაკლისის შემდეგ ელჩმა გამართა საუზმე.

**ვენა.** ხელმწიფე იმპერატორის სახელწოდების დღეს რუსეთის საელჩოს ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა წირვა და პარაკლისი, რომელსაც დაესწრნენ რუსეთის ელჩი მეუღლითურთ და ყველა წევრნი რუსეთის ახალშენისა ვენაში. საღამოს გოფბურგში გამართულ იქმნა სადღესასწაულო სადილი.

**პეკინი.** ბელგიელ ინჟინერის რუდფორისა და ჩინეთის მთავრობის შუა შეკრულ იქმნა პირობა, რკინის გზის გაყვანის შესახებ, რომელმაც უნდა შეაერთოს ლუხანის რკინის გზა ხონანთან. ეს გზა შემდეგში გაყვანილი იქმნება თიგნანამდი.

**ვაშინგტონი.** აქაურს გაზეთებში დაბეჭდილია გერმანიისა, ამერიკის და ინგლისის შუა მომხდარ შეთანხმების პირობები სამოას კუნძულების შესახებ.

**ლონდონი.** „დეილი მაილ“-ში დაბეჭდილი დეპეშა სიდნეიდან, რომლითაც იუწყებიან, რომ ავსტრალიიდან გაიგზავნება ტრანსვაალში 1500 მეომარიო.

**ლონდონი.** დილის გაზეთებში დაბეჭდილია შემდეგი ცნობა: 900 კაპლანდელი მიემხრო ბურებს ბარკოლში, 2000— ბარკოლისტში 1500—სუგერდორპსში.

„ტაიმსში“ დაბეჭდილია დეპეშა მოდდერ-რივერიდან; „დღეს დილას ინგლისის ჯარმა აღმოაჩინა, რომ ბურები დაბანაკებულან ხუთი მილის მანძილზე მოდდერ-რივერიდან აღმოსავლეთით. ბურების რიცხვი სულ 20,000 უნდა იყვეს.

გაზეთების გამოანგარიშებით, ომის დაწყებიდან დღემდე ინგლისელებმა დაჰკარგეს სულ 7630 აფიცერი, უნტერ-ოფიცერი და ჯარისკაცები.

**ფილიპოპოლი.** მახმუდ-ფაშის გაპარვის შესახებ სტამბოლიდან იტყობინებიან, რომ ის გაპარულა ორის თავის შვილით და პუბლიცისტი ხონი-დანიშით. სულთანის თხოვნის თანახმად დარდანელში გაჩხრეკილ იქმნა საფრანგეთის გემი „მესაჟერი“, მაგრამ გემზე არავინ არ აღმოჩენილა. აგრეთვე ვერ აღმოუჩენიათ სხვა გემებზედაც და რკინის გზის მატარებლებში ოსმალეთის სამზღვრებზე. გაქცევის მიზეზად ასახელებენ იმ გარემოებას, ვითომ მახმუდ ფაშა შუაკაცი იყო ინგლისის კაპიტალისტებისა და ოსმალეთის მთავრობის ბაღდადის რკინის გზის გაყვანის საქმეში და იმათის მხრით ქრთამებს არიგებდა.

**ვენა.** „ნევე-ფრეიე-პრესსე“-ში დაბეჭდილია, რომ საპარლამენტო წრეებში პესიმისტიურად უყურებენ კლარის სამინისტროს მდგომარეობას; ფიქრობენ, რომ ამ დღეებშივე მოხდება სამინისტრო კრიზისი. გერმანელთა პარტიის წინამძღოლებმა უკვე შეატყობინეს თავის თანამოაზრეებს, რომ კლარი სამსახურს თავს ანებებსო.

7 დეკემბერი

**მოსკოვი.** გრაფი ლ. ნ. ტოლსტოი ოთახებში დადის, სვამს რძეს და სჭამს საჭმელს.

**პარიზი.** ხელმწიფე იმპერატორის დღეობის გამო რუსეთის საელჩოს ეკკლესიაში დიდის ამბით გარდახდილ იქმნა წირვა, რომელსაც დაესწრნენ: დიდი მთავარი ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე, დიდი მთავრინა მარია პავლეს ასული, დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზისძე, საელჩოს ყველა წევრი, წარმოსადგენელი რესპუბლიკის პრეზიდენტისა, წარმომადგენელნი სამინისტროსი, თავადი ტენიშევი მთელის არტელით რუსის მუშეებისა. რომელნიც გამოფენისათვის არიან პარიზში ჩასულნი და აგრეთვე წევრნი რუსეთის ახალშენისა.

**ლონდონი** „რეიტ. სააგენტო“. „Daily Mail“-ს დეპეშით ატყობინებენ ნაუპორტიდან, რომ პარასკევს ბურების არტილერია ინგლისელების პოზიციას გარს შემოერტყა და ზარბაზნები დაუშინეს, რის შემდეგ ინგლისელებმა თავი დაანებეს ამ პოზიციას. ინგლისელების ცხენოსანმა ჯარმა და არტილერიამ დაიწია არუნდელისაკენ. არტილერია ვერ სწვდებოდა თავისი ყუმბარებით იმ ადგილამდი, სადაც იყო ბურების დიდი ზარბაზნები.

თუმცა არ ამტკიცებს, რომ ნამდვილი წყაროდან გავიგე ო, „Daily Mail“ ამბობს, რომ ბულერი ცხარე ბრძოლის შემდეგ გადავიდა ტუგელზე გაღმაო. ამას გაზეთი დასძენს, რომ მეტუენის ჯართან მიმოსვლა შეწყვეტილიაო. სამხედრო სამინისტრო კი ვერც ამტკიცებს და ვერც უარყოფს ამ ამბავს.

გაზეთები დაწვრილებით მოგვითხრობენ ბულერის უკანასკნელ ბრძოლის შესახებ. მათის სიტყვით, ბულერმა მთელი თავისი ძალა მიჰმართა დეკემბრის 3-ს, დილის ოთხს საათზე, მდ. ტუგელისაკენ. ბრძოლა ცხარი და სასტიკი იყო, მაგრამ წინ დახვდა ისეთი ძლიერი არტილერია და საშინელი ცეცხლი მტრის, ბანაკიდანრომ იძულებული იყო უკან დაეწია. გილდიარდის ბრიგადამ, რომელიც მემარჯვენეთ იბრძოდა, ხიშტების შემწეობით აიღო დაბა კოლენზო, მაგრამ ჩქარა ისევ უკან უნდა დაეწია, რადგან მისი არტილერია მტერმა სრულიად გაანადგურა.

**ვენა.** „ვოლფ. საგ.“ ნეუ-ფრესს. იუწყება, რომ ხვალ მოელიან კლარის კაბინეტის დაცემას. კაბინეტი საქმეებს განაგებს ხუთშაბათამდის ან პარასკევამდის, ვიდრე სეიმი არ დაიშლება. ახალი კაბინეტი უეჭველად დიდ ხანს ვერ შესძლებს საქმის მართვას. ახალი კაბინეთის მეთაურად ასახელებენ რკინის გზათა მინისტრს ვიტტექს. ყველა გაზეთები მოელიან, რომ სახელწიფო საბჭოში, რომელიც შესდგება დღეს იმპერატორის თავმჯდომარეობით, გადასწყვეტენ უმთავრესს კითხვებს. უმეტესობა ჰფიქრობს, საბჭო გადასწყვეტს მოწვეულ იქმნას დროებითი კაბინეთი. სეიმის კრებების გადადება, გაზეთების აზრით, მოხდება ახლო მომავალში.

**სტამბოლი.** დიერიდან იუწყებიან, რომ იქ არეულობა მოხდაო. უსკუბიდან იქ გაუგზავნიათ ცხენოსანი რაზმის ერთი ბატალიონი.

**მიუნხენი.** პრინც რეგენტმა მიიღო რუსეთის ელჩი იზვოლსკი სადარბაზოდ გამოსამშვიდებლად. დაცულ იქმნა დარბაზობის ჩვეულებრივი წესები. დარბაზობას დაესწრო მცირე ამალა და მინისტრი კრაილსგეიმერი. რეგენტმა უწყალობა იზვოლსკის ორდენი წმ. მიხეილის 1-ლი ხარისხის.

**ლონდონი.** „რეიტ. სააგ“. გოშენი დაესწრო გუშინ ვოლონტერთ საჩუქრების დარიგებას და წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც შეეხო რა იმ მოსაზრებას, რომ კარგი იქნებოდა საზღვაო ჯარი მიიღებდეს ომში მონაწილეობასაო, სთქვა: „ჩვენ მთელს ჩვენ ყურადღებას მარტო სამხრეთ აფრიკას არ უნდა ვაქცევდეთ, უნდა მხედველობაში გვქონდეს მსოფლიო საქმეებიც. ყურადღებას ვაქცევდეთ იმას. თუ რა შეიძლება მოხდეს ჩვენ გარშემო. მე არა მსურს გამოვიწვიო ჩემი სიტყვებით რაიმე ღლიაქოთი, მაგრამ არ შემიძლიან არა ვთქვა, რომ ჩვენ არავითარ ამბავს ვერპლს არ უნდა შეუშინდეთ, ოღონდ ჩვენ გემებს თვისი ეკიპაჟი მთლად და უვნებლივ შევუნახოთ“.

როგორც „დეილი ნიუს“ იუწყება, ინდოეთიის ჯარების უფროსმა გენერალმა ლოკკარტმა უპასუხა სამხედრო სამინისტროს შეკითხვაზედ, ორთხი პოლკი და არტილერის ბრიგადა მზათ არის კაპში წასასვლელადაო.

**კაპშტადტი.** „რეიტ. საგ.“ მეხუთე დივიზიის კომანდირი უსოჯენი ოთხი აფიცერი თურთ გაემგზავრა დღეს საღაოთი დეაარში.

**ლონდონი.** „რეიტ. საგ.“ „ტიმეს“-ში მოთავსებულია ამბავი მდ. მოდდერიდან, 5 დეკემბერს. იქ ამ ჟამად სრული სიმშვიდე სუფევს. ბურები იკრებენ ახალ ძალას. ორთავე ნაპირზე ჰმართავენ თხრილებს, მაგრამ ინგლისელებს თავს დასხმა ვერ მოუხერხეს. ინგლისელებს თავის მხრით ვერ მოუხერხებიათ მტერს მხარი აუქციონ, რადგანაც ბურების მემარცხენე რაზმი დაწყობილია მდინარემდის, მემარჯვენე მწრაფლად უახლოვდება მდინარეს. ბურებს საფრები აქვთ ჩამწკრივებული და ეს აძლევთ მათ საშუალებას მსწრაფლი მისვლა-მოსვლა იქონიონ ჯარების სხვა-და-სხვა ნაწილებს შუა. მხოლოდ მათი გასაჭირი ის არის, რომ უძნელდებათ წყლისა და საჭმლის შოვნა.

## პეტერბურგის ბირჟა.

—

7 დეკემბერი

| | მყიდველისა (მ. კ.) | გამყიდველისა (მ. კ.) | გაყიდულისა (მ. კ.) |
|---|---|---|---|
| 5%-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . . | 217 1/4 | — „ | — |
| 3 1/2% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | — | — „ | 93 „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | — „ | | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | — „ | — „ | — „ |
| 5% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | — „ |
| 4 1/2% ამავე ბანკისა | — „ | „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | — „ | — „ | — „ |
| 4 1/2% იმავე საზოგადოებისა . . . | — „ | 90 „ | — „ |
| 5% პირველი შინაგანი სესხის მომგებიანი ბილეთი . | 322 „ | — „ | — „ |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . . | — „ | — „ | 280 „ |

რედაქტორ-გამომცემელი
**ვალერიან გუნია**

!!მიაქციეთ ყურადღება!!

# ჩინეთის მაღაზია

**დ. ფ. დემენტიევისა**

გოლოვინის პროსპექტი, ზუბალაშვილის სახ. სობრანიეს გვერდზე.

**იმემეთ ჩაი** პირველი მოკრეფისა 1898 წლისა

მშვენიერი ყნოსვისა და სასიამოვნო გემოსი

ჩაი და ყავა იყიდება **წვრილად** და **პარტიებით**

ყოველს მყიდველს ჩვენის ჩაისას დაეთმობა მანათზე აბაზი და საჩუქრად მიიღებს ჩინეთის, იაპონიის და სხვა საჭირო და საოჯახო ნივთს.

ვინც 12 ან მეტ გირვანქა ჩაის იყიდის ჩვენგან იმას

**საჩუქრად მიეცემა ჩაის სერვიზი**

იქვე მრავალგვარი ჩინეთის და იაპონეთის ნივთებია

**საჩუქრებისა და ნიშნობებისათვის**

მაღაზიები იმყოფება როსტოვ-დონზე, კიევში, ოდესაში, იალტაში, ნიკოლაევში, ეკატერინოდარში, ხარკოვში, ეკატერინოსლავში პიატიგორსკში და ტფილისში

!!მიაქციეთ ყურადღება!! (100—90)



# ისტორიული ნარკვევი

ანუ

**ქრისტომატია საქართველოს ისტორიისათვის**

შედგენილი

**ალექსანდრე ხელაძისაგან**

მოწონებულია კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისაგან საშუალო სასწავლებლების ბიბლიოთეკებისათვის

ფასი 1 მ. 50 კაპ.

ისყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში.



# ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1900 ГОДЪ

# „СУДЕБНЫЯ ДРАМЫ“.

„Здѣсь одна правда, дѣйствительность во всей своей подчасъ непригладной наготѣ“.

*(ТРЕТІЙ ГОДЪ).*

**12 КНИГЪ ВЪ ГОДЪ СЪ ПЕРЕСЫЛКОЙ 4 РУБ.**

Разсрочка только черезъ контору: при подпискѣ 2 руб., въ Апрѣлѣ и Августѣ по 1 руб.

***Контора редакціи—МОСКВА. Остоженка, Савеловскій пер., д. Снегиревой.***

Журналъ по прежнему будетъ помѣщать: Замѣчаельные и загадочные процессы и уголовныя исторіи всѣхъ странъ.—Рѣчи судебныхъ ораторовъ.—Процессы дня.—Біографіи, мемуары и автобіографіи.—Рисунки и портреты.

Редакція обращаетъ особенное вниманіе на помѣщеніе русскихъ процессовъ, имѣющихъ историческое, бытовое и психологическое значеніе. Съ первыхъ Книжекъ журнала начнутся печатаніемъ процессы: Клуба червонныхъ валетовъ, Скопческія дѣла, Игумени Митрофаніи.—Изъ иностранныхъ: *Франкъ-Масонство*, новые мемуары Горона—*Уголовная Любовь*, политическіе процессы, начиная съ дѣла Людовика XVI и др.

Въ 1899 году между прочимъ непечатано: Убійство Генриха IV.—Палата пытокъ.—Біатриче Ченчи.—Дѣло Дерулэда.—Процессъ Луи Наполеона.—Дамьенъ.—Вампиръ.—Пэль.—Убійство патера Томаса въ Дамаскѣ.—Разбойникъ Мандренъ.—Робъ-Рой.—Авиненъ и Лемеръ (изъ мемуаровъ Клода).—Замокъ Бредовъ (изъ мемуаровъ берлинскаго сыщика).—*Изъ русскихъ процессовъ*: Похищеніе мощей св. *Димитрія митрополита*.—Убійство Карепиной.—Мошенническое похищеніе денегъ у кн. Амабелекъ.—Изъ тьми деревенской.—Дѣло Мержвинской.

***Въ приложеніи***: Тайна почерка (графологія).—Судебныя ораторы: Марсельеза. Рѣчь Кремье.—Убійство жены. Рѣчь Шубинскаго.—Дѣло Овсянникова.—Рѣчь Жуковскаго.—Судебныя ошибки: Убійство Гая.—Матереубійца.—Дѣло Тальмы.—Убійство Старосельскаго.—Дѣло братьевъ Скитскихъ.—Полныя рѣчи: Громницкаго, Жуковскаго, Карабчевскаго, Миронова, Плевако.—Дѣло Дрейфуса. Пересмотръ въ Кассаціонномъ судѣ. Процессъ въ Реннѣ.—Тисъ-Эстлярскій процессъ. (Ритуальное убійство). Съ портретами и рисунками.

შ. (5—1) Редакторъ-издатель **Л. Ѳ. Снегиревъ.**



# ПОДПИСНАЯ ЦѢНА

НА ГАЗЕТУ

# „СВѢТЪ“

съ пересылкою и доставкою:

## На четверть года:

съ 1 января по 1 апрѣля . . . . . . . . .
„ 1 апрѣля по 1 іюля . . . . . . . . .
„ 1 іюля по 1 октября . . . . . . . . . **1 р.**
„ 1 октября, по 31 декабря . . . . . . .

## На полгода: 2 –

съ 1 января или съ 1 іюля . . . . . . . .

## На девять мѣсяцевъ: 3 –

съ 1 апрѣля. . . . . . . . . . . . . . .

## На годъ: 4 –

съ 1 января . . . . . . . . . . . . . . .

**На иные сроки подписка не принимается**

***Примѣчаніе.*** подписка на „приложеніе романовъ“ къ газетѣ „Свѣтъ“ принимается лишь одновременно и нераздѣльно съ газетою на одинъ и тотъ же срокъ. Лица, выписавшія одну газету, могутъ получить впослѣдствіи „Приложеніе Романовъ“ не иначе, какъ выписавъ новый экземпляръ газеты съ приложеніемъ“.

**Адресъ редакціи: С.-П.Б., Невскій, 138.**

შ. (5—1) Редакторъ-издатель **В. В. Комаровъ**



ახლად გახსნილი საწვრილმანო და საპარტიო სავაჭროდ

# „უნივერსალნი მაღაზია“

**კ. გ. ყარიბოვისა** (ტფილისში, პუშკინის ქუჩაზე, პუშკინის ბაღთან)

მუდმივ იყიდება ახალი საგალანტერიო, საოჯახო, სამრეწველო და სხვა მრავალგვარი საქონელი პირდაპირ ქარხნიდან გამოწერილი

**ეს არის ახლად მიღებულია დიდძალი**

ქოლგები.
თეთრეული.
კორსეტები.
წინდები.
ჩულქები.
ფუფაიკები.
ჟერსე
პერჩატკები.
კრუჟევა რუსული და გრან.
შალები თბილი.
შარფები
ყელსახვევი (ბოა).

შლიაპები.
სარტყლები.
მოსართავები.
ლენტები ყოველნაირი.
ბაღდადები.
ხელსახოცები.
ყელსახვევები.
პირბადეები.
აგრამანტები.
გამაშები.
რედიკულები.
ალბომები.

სარკეები.
ნესესრები.
პორტმონები.
სანობათო ნივთები.
საქორწილო სამკაულები.
საბავშო ტანსაცმელები.
ქალების კაბების საკაზმები.
ფანჯრის ტულები.
ქსოვილი სუფრები.
საბნები ქსოვილები.
ბალიშის პირები.
ბამბები შალისა.
ყოველგვარი ფერისა.

კალოშები.
სამრეწველო საქონელი.
**არტურ კრუპპის ქარხნის** ლითონეულობის ნაკეთობა.
**„ალპაკას“ ნახელოვნები**, სქლად მოვერცხლებული.
**სამზარეულო ჭურჭლები**, წმინდა ნიკელიდან სასტუმროებისა და ოჯახისათვის.
**შუშები** ფანჯრებისათვის მოგემიდან.

ფასები ყველაფერზე სულ მცირეა, უკანასკნელი და გადაჭრილი. მაღაზიას ყოველ კვირა სულ ახალ-ახალი საქონელი მოსდის.

ჩვენი საქონლის უპირატესობას, სიკარგესა და გამოსადეგობაში შეიძლება ყველა პირადად დარწმუნდეს. (50-26)